



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 19

31 აგვისტო 2020 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ქ. სენაკი, ეგნატე ნინოშვილის ქუჩაზე დასაქმებულთა ერთობლივი განცხადებისა (25.05.2020 წ.) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს 2020 წლის 06 ივლისის წერილის საფუძველზე, მიზანშეწონილია ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვახტანგ გორგასლისა და ეგნატე ნინოშვილის ქუჩებზე განთავსდეს შესაბამისი დამატებითი საგზაო ნიშნები.

ამასთანავე, დამატებითი საგზაო ნიშნები განსათავსებელია ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე დავით აღმაშენებლის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია ზემოხსენებული სამმართველოს წერილობითი თანხმობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების მიზნით განთავსდეს დამატებითი საგზაო ნიშნები ქვემოთ მითითებული ქუჩების მიხედვით:

ა) ეგნატე ნინოშვილის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი:44.01.31.401 მიმდებარედ) საგზაო ნიშანი 3.27 „გაჩერება აკრძალულია“, დამატებითი ინფორმაციის დაფით 8.2.1 „მოქმედების ზონა“ 4 მეტრი. მოქმედების ზონის დასრულების შემდგომ 7.4 „დგომის ადგილი“ საგზაო მონიშვნით „პარალელური პარკირება“;

ბ) ეგნატე ნინოშვილის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი:44.01.31.713 მიმდებარედ) საგზაო ნიშანი 3.27 „გაჩერება აკრძალულია“, დამატებითი ინფორმაციის დაფით 8.2.1. „მოქმედების ზონა“ 4 მეტრი. მოქმედების ზონის დასრულების შემდგომ 7.4 „დგომის ადგილი“ საგზაო მონიშვნით „პარალელური პარკირება“;

გ) ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე ეგნატე ნინოშვილის და ვახტანგ გორგასლის ქუჩის კვეთასთან 4.1.5 „მოძრაობა პირდაპირ ან მარცხნივ“ – 1 ცალი;

დ) ბათუმის ქუჩაზე ვახტანგ გორგასლის ქუჩის კვეთასთან 4.1.2 „მოძრაობა მარჯვნივ“ – 1 ცალი;

ე) ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე ბათუმის ქუჩის კვეთასთან 4.1.3. „მოძრაობა მარცხნივ“ – 1 ცალი;

ვ) ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე ბათუმის ქუჩის კვეთასთან 3.1 „შესვლა აკრძალულია“ – 1 ცალი;

ზ) ეგნატე ნინოშვილის ქუჩაზე ვახტანგ გორგასლის ქუჩის კვეთასთან 5.7.1 „ცალმხრივმოძრაობიან გზაზე გასვლა“ – 1 ცალი;

თ) ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მარცხენა მხარეს ეგნატე ნინოშვილის ქუჩის კვეთასთან შ.პ.ს. „ცენტრალური ბაზარის“ მიმართულებით 7.4. „დგომის ადგილი“, საგზაო მონიშვნით „პარალელური პარკირება“ – 1 ცალი;

ი) ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე ეგნატე ნინოშვილის ქუჩის კვეთასთან 5.5. „ცალმხრივმოძრაობიანი გზა“- 1 ცალი და ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე ბათუმის ქუჩის კვეთამდე 5.6. „ცალმხრივმოძრაობიანი გზის დასასრული“ - 1 ცალი;

კ) ეგნატე ნინოშვილის ქუჩაზე ეგნატე ნინოშვილისა და ვახტანგ გორგასლის ქუჩების კვეთასთან 3.18.2 „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“ – 1 ცალი;

ლ) ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე, დავით აღმაშენებლის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე საგზაო ნიშანი 3.20 „გასწრება აკრძალულია“ – 2 ცალი და 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (40 კმ/სთ“) – 2 ცალი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 აგვისტოს №28 განკარგულება.

3. განკარგულების მიღებიდან 60 დღის ვადაში სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ამ განკარგულებით გათვალისწინებული საგზაო ნიშნების განთავსებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

4. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩა №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი